შპს „ნერგების"
გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურების პაკეტი

გახანგძლივებული ჯგუფის მიზანია მოსწავლეთა მომზადება სასკოლოდ, დახმარება მასალის სწრაფად და ხარისხიანად ათვისებაში. მოსწავლეთა სასკოლოდ მომზადების პროცესი ბავშვებისათვის სასიამოვნო და სასურველ გარემოში ხდება. პროგრამა საინტერესო და მრავალფეროვანია, რაც ემსახურება მოსწავლეთა როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ და სულიერ აღზრდას.
საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები სადილობენ. სადილის შემდეგ ფიზიკური ვარჯიში ხელს უწყობს მათ დასვენებას და სამეცადინოდ მომზადებას. მეცადინეობის დროს ვაწყობთ თამაშებს, რათა სასწავლო პროცესი მათთვის არ იყოს დამღლელი.

გახანგძლივებულ ჯგუფში მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ მიმართულებებს:
1. მიმართულება - კითხვა:
ა) მოსწავლეს უნდა გამოვუმუშავოთ წიგნთან მუშაობის საწყისი ჩვევები;
ბ) მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის შინაარსის აღქმა;
გ) მოსწავლემ უნდა ამოიცნოს ტექსტის მარტივი ენობრივი ერთეულები;

2. მიმართულება - წერა:
ა) მოსწავლეს ვაჩვევთ წერას კარნახით და წერას ნაბეჭდი ტექსტიდან;
ბ) ვადგენინებთ მარტივ წინადადებებს;

3. მიმართულება ზეპირმეტყველება:
ა) მოსწავლე ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს მარტივ ინფორმაციას;
ბ) მოსწავლე გადმოსცემს მარტივ ინფორმაციას ნაცნობ თემაზე;
გ) იცავს მართმეტყველების ელემენტარულ წესებს. გახანგძლივებულ ჯგუფში მოსწავლეები მეცადინეობენ შემდეგ საგნებში: ქართული, მათემატიკა, ბუნება.

მოსწავლეებთან მუშაობისას ვიყენებთ შემდეგ ფორმებს:
1. ინდივიდუალური;
2. ჯგუფური.
გახანგძლივებული ჯგუფის მთავარი ამოცანაა, რომ მოსწავლეებს განვუვითაროთ ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები: წერა-კითხვა, მეტყველება, საინფორმაციო და ჯგუფური

მუშაობის ჩვევები. უნდა ჩავუნერგოთ იდეა, რომ იყვნენ კანონმორჩილნი, ტოლერანტი მოქალაქენი, ასვე ჩვენ უნდა გავზარდოთ ისინი დამოუკიდებლად.
ჩვენ მიზნად ვისახავთ განვუვითაროთ მოზარდს გონებრივი და ფიზიკური ჩვევები, მივცეთ მათ საჭირო ცოდნა და დავუმკვიდროთ ჯანსაღი ცხოვრების წესი.

სკოლის დირექცია მშობლებს სთავაზობს:

- გახანგრძლივებული დღის სწავლების ჯგუფი(სასწავლო პროცესის დამთავრებიდან 17 საათამდე), რომელიც არ არის გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით, მაგრამ მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე დაშვებულია დირექციის მიერ.
- გახანგრძლივებულ დღის ჯგუფში სწავლება მიმდინარეობს ყოველ სასწავლო დღეს 13 სთ-იდან 17 საათამდე.
- გახანგრძლივებული სწავლება მოიცავს I - VI კლასებს.

მომსახურებაში შედის: გაკვეთილების მომზადება,ერთჯერადი კვება, შემეცნებითი და სპორტული თამაშები განტვირთვის მიზნით.
გახანგრძლივებულ ჯგუფში სავალდებულოა ყოველდღიური აღრიცხვის წარმოება. დღის განმავლობაში მოსწავლეებთან მუშაობს პედაგოგი.
ჯგუფში შესაძლებელია არა უმეტეს 15 მოსწავლის ყოფნა. მშობელსა და დირექციას შორის, პედაგოგსა და დირექციას შორის ურთიერთობას არეგულირებს შესაბამისი ხელშეკრულებები.

მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია

1. თავის საქმიანობას ახორციელებს "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სკოლის წესდების, შინაგანაწესის, ხელშეკრულების, მასწავლებელის ქცევის(ეთიკის) კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების, ინსტრუქციებისა და მითითებების, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე;
2. უზრუნველყოფს მოსწავლეთა დამატებით მეცადინეობას შემდეგი დღის გაკვეთილების ცხრილით გათვალისწინებულ სასწავლო დისციპლინებში;

გახანგრძლივებული სწავლების მასწავლებელი ვალდებულია:

1. გაუფრთხილდეს ორგანიზაციის ქონებას, იგი პასუხისმგებელია მასზე განპირობებულ მატერიალურ ფასეულობებს დაცვაზე;

2. უზრუნველყოს შესაბამის საგანში მოსწავლეთა დამატებითი მეცადინეობა შესაბამისი კლასის მოსწავლეთა საწყისი დონის დასაძლევად;
3. კეთილსინდისიერად შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და პასუხი აგოს მასზე დაკისრებული მოვალეობების დადგენილი სტნდარტებით შესრულებაზე;
4. დაუყონებლივ უზრუნველყოს დირექციისა ან/და კლასის დამრიგებლის ინფორმირება,თუ მოსწავლე არ გამოცხადდა გახანგრძლივებული სწავლების გაკვეთილზე, ან მის ჯანმრთელობას ან/და პირად უსაფრთხოებას საშიშროება დაემუქრა;
5. სკოლაში გამოცხადდეს გახანგრძლივებული სწავლების გაკვეთილების დაწყებამდე, 10-15 წუთით ადრე, უზრუნველყოს გაკვეთილის ჩატარებისათვის აუცილებელი თვალსაჩინო და სხვა რესურსის მომზადება.
6. სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და ფუნქციებს განსაზღვრავს სკოლის დირექტორი შესაბამისი განკარგულებით.

გაკვეთილების ცხრილი
I – VI კლასების გახანგრძლივებული ჯგუფისთვის

დრო	*ორშაბათი*	*სამშაბათი*	*ოთხშაბათი*	*ხუთშაბათი*	*პარასკევი*
13:00					
14:00					
15:00					
16:00					
17:00					